ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2442378

ნომერი: AR1378895

თარიღი : 16.02.2016

გაცემის თარიღი : 19.02.2016

გაცნობის თარიღი : 19.02.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 70 , (იგივე გამსახურდიას გამზ. N5) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბარნაბიშვილი პ/ნ 01009010768
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 2 ბ. 35

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ , რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელება მხოლოდ თქვენი კუთვნილი ფართის ფასადზე, მაგრამ, რადგანაც წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ ხერხდება სარეკონსტრუქციო სამუშაოებით საპროექტო ფასადის არეალის მესაკუთრეთა ვინაობის დადგენა, ანუ თქვენი კუთვნილი ფართის არეალზე იგეგმება სამუშაოები, თუ სხვისი ფართის ფასადების გამოყენებით, აღნიშნულის გარკვევის მიზნით დამატებით წარმოსადგენი გექნებათ საინვენტარიზაციო გეგმა (საპროექტო სართულისა და მის ზედა სართულის), სადაც შიდა ფართებში ჩაიწერება შესაბამისი საკადასტრო კოდები, წილობრივი მონაცემებით და მიეთითება მესაკუთრეთა ვინაობა.

საჭიროების შემთხვევაშიწარმოსადგენი გექნებათ ყველა იმ მესაკუთრის თანხმობა დამოწმებული ნოტარიული წესით ვისი ფართის გამოყენებითაც იგეგმება ფასადის რეკონსტრუქცია (დამოწმებული ნოტარიულად და მათი ამონაწერი საჯარო რეესტრის თანდართვით);

ასევე საჭიროების შემთხვევაში შესწორდეს დოკუმენტაცია და დამატებით ინფორმაცია აისახოს მოთხოვნის შინაარსის ტექსტურ ნაწილში;

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.